დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №01-02/ 150 ბრძანებით

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები

სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების, ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.
კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან (სასწავლო პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი), ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, პროგრამების ხელმძღვანელებთან / პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.
დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.
კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე.

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი დაგეგმე; განახორციელე; შეამოწმე; განავითარე ხორციელდება შემდეგი გზით:

1. დაგეგმე

1.1. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, ნიშანსვეტისა და პასუხისმგებელ პირთა მითითებით;

1.2 დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სწავლების დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების შემუშავების წესის შესაბამისად და სასწავლო გეგმები იმგვარადაა შემუშავებული, რომ იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ;

1.3. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების შესაბამისად, რომელთაც ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი;

1.4. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება (მოდულური პროგრამის შემუშავება, ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება) ხორციელდება გარე და შიდა რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით;

1.5. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით ინერგება ახალი მექანიზმები;

1.6 პარტნიორ დასაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით მუშავდება ახალი კითხვარები (მათ შორის, ელექტრონული).

2. *განახორციელე*

სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობებით;

2.1 სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ურთიერთდასწრების ორგანიზება და გამოცდილებათა გაზიარება, მეცადინეობის ანალიზი გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით;

2.2 პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვა მოდულის მიმდინარეობის თაობაზე სპეციალური კითხვარის გამოყენებით;

2.3 სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება;

2.4 სწავლებისა და შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სწავლის შედეგების

შესაბამისი სანდო, ვალიდური, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება; (ცვლილება: 01-02/116; 29.06.2020)

2.5 პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად მოდულური პროგრამების განხორციელების მხარდაჭერის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება;

2.6 პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა სხვადასხვა ტიპის აქტივობებით;

2.7 საწარმოო პრაქტიკის მაღალ დონეზე ორგანიზება, დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით;

2.8 პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა;

2.9 დუალური პროგრამების განმახორციელებელ ინსტრუქტორებთან კომუნიკაციის, მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება.

3. შეამოწმე

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შემოწმება ხორციელდება:

3.1 მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის რელევანტურობის შესწავლით;

3.2 მეცადინეობებზე დასწრება და ანალიზი;

3.3 პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების ანალიზი;

3.4 სასწავლო პროცესის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა მიერ სპეციალური კითხვარის გამოყენებით და ანალიზი;

3.5 პროფესიული მასწავლებლების რეფლექსია შემუშავებული კითხვარის გამოყენებით;

3.6 პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა სპეციალური კითხვარების საშუალებით და ანალიზი;

3.7 პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერების მიერ დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით და ანალიზი;

3.8 პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ დასაქმების სტატისტიკის წარმოება;

4. ***განვითარე***

ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

4.1 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

4.2 არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, დადგენილი პროცედურის შესაბამისად;

4.3 გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/ პროგრამების გასაუმჯობესებლად.

შიდა შეფასების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები გასაზღვრულია თანამშრომელთა მოვალეობების წესითა და სამოქმედო გეგმით. მოდულური პროგრამების დანერგვის მიზნით, ცალკეული აქტივობების განსახორციელებლად, გამოყენებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარები, მეცადინეობებზე დასწრების ფორმები, რომლებიც მორგებულია კოლეჯის საჭიროებებთან.

მეცადინეობებზე დასწრების, კმაყოფილების კვლევის, თვითშეფასების კითხვარების ფორმები არ მტკიცდება. ცალკეული კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემუშავდეს ერთჯერადი ტიპის ანკეტა/ კითხვარი და სხვა ფორმა.

ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კითხვარის, კვლევის დოკუმენტის ფორმის ინიცირება შეუძლია პროგრამის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს (თანამშრომელს, პროფესიულ სტუდენტს, პარტნიორს, დამსაქმებელს) და ის შეთანხმებული უნდა იყოს ხარისხის მართვის მენეჯერთან. ანგარიშგება განხორციელებული საქმიანობის შესახებ ხორციელდება დირექტორის მოადგილის წინაშე.